ოქმი:**ო37. 3724078001**

თარიღი:**18/03/2024**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2024 წელი 15 მარტი

ქ. ოზურგეთი

16.00-16.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. ჭაკნელიძე,

გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ნინო ჭანიშვილი

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დაეწეროთ საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს, აგრარულ საკითხთა,

ქონების მართვისა, და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად (დ. ჭაკნელიძე), სხვა მუდმივმოქმედ კომისიებს გაცნობის მიზნით.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობის სახით მისაღებად, წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დაეწეროთ საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად (გ. ჩავლეშვილი),სხვა მუდმივმოქმედ კომისიებს გაცნობის მიზნით.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2023 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

სხდომის თავმჯდომარემ ლ. ბიგვავამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა და მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა დამაკმაყოფილებლად შეფასეს და მადლობა გადაუხადეს საკრებულოს აპარატს 2023 წელში გაწეული მუშაობისთვის.

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1,4 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2. N 2,3 საკითხები დაეწეროთ მუდმივმოქმედ კომისიებს, N 2 აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად (დ. ჭაკნელიძე), სხვა მუდმივმოქმედ კომისიებს გაცნობის მიზნით, N 3 საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად (გ. ჩავლეშვილი), სხვა მუდმივმოქმედ კომისიებს გაცნობის მიზნით.

3. N 5 საკითხი შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნას ცნობად.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი